

შპს ნიუსიტი
2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს “ნიუსიტი”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2020-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	31/12/2020 ლარი	31/12/2019 ლარი	31/12/2018 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	165,893	202,814	233,802
სულ გრძელვადიანი აქტივები		165,893	202,814	233,802
სასაქონლო მარაგები		1,932,277	1,219,985	1,002,211
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	936,690	618,317	394,420
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		1,578,330	1,036,826	542,721
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,447,296	2,875,128	1,939,353
სულ აქტივები		4,613,189	3,077,942	2,173,154
ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	5	42,296	52,748	42,391
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		42,296	52,748	42,391
სულ ვალდებულებები		42,296	52,748	42,391
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		200	200	200
გაუნაწილებელი მოგება		4,570,693	3,024,993	2,130,563
სულ საკუთარი კაპიტალი		4,570,893	3,025,193	2,130,763
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		4,613,189	3,077,942	2,173,154

შპს ნიუსიტი-ს დირექტორი

ლევან ფეიქრიშვილი _____

შპს “ნიუსიტი”

მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2020 - 31.12.2020 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2020 ლარი	2019 ლარი
ამონაგები	6	11,742,678	10,434,177
ამონაგების თვითღირებულება	7	(9,726,127)	(9,141,950)
საერთო მოგება		2,016,551	1,292,226
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(483,881)	(408,579)
არასაოპერაციო შემოსავალი /(ხარჯი)		13,002	17,467
მოგება დაბეგვრამდე		1,545,672	901,114
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		1,545,672	901,114

შპს ნიუსიტი-ს დირექტორი

ლევან ფეიქრიშვილი _____

შპს “ნიუსიტი”

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2020 - 31.12.2020 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სულ საკუთარი კაპიტალი ლარი
ნაშთი - 31.12.2018	200	2,130,563	2,130,763
გაცემული დივიდენდები			-
პერიოდის მოგება		901,114	901,114
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(6,684)	(6,684)
ნაშთი - 31.12.2019	200	3,024,993	3,025,193
გაცემული დივიდენდები			-
პერიოდის მოგება		1,545,672	1,545,672
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		28	28
ნაშთი - 31.12.2020	200	4,570,693	4,570,893

შპს ნიუსიტი-ს დირექტორი

ლევან ფეიქრიშვილი _____

შპს “ნიუსიტი”

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

„ნიუსიტი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 04/10/2007). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თელავი, დავითაშვილის ქ. №4;

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო-სარემონტო მასალებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა კახეთის რეგიონში, კერძოდ კი ლამინატი, კაფელ-მეთლახით, აბაზანის აქსესუარებით და სხვა წვრილმანებით. აგრეთვე კომპანია აწარმოებს თაბაშირ-მუყაოს პროფილებს და თუნუქის სახურავებს.

კომპანიის დირექტორი: ლევან ფეიქრიშვილი, პ/ნ 20001002747.

კომპანიის მესაკუთრეები: 50% - ლევან ფეიქრიშვილი, პ/ნ 20001002747 და 50% - დავით ფეიქრიშვილი, 20001002746.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება

იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 აშშ დოლარი / ლარი	3.2766	2.8677	2.6766
1 ევრო / ლარი	4.0233	3.2095	3.0701

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 15%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15% შენობის იჯარით გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება.

გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული

სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება.

გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

3. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
	ლარი	ლარი
ბალანსი 31.12.2018	233,802	233,802
შემოსვლა 2019	25,690	25,690
ცვეთა პერიოდისათვის 2019	(50,166)	(50,166)
გასვლა 2019	(6,511)	(6,511)
წმინდა საბალანსო ღირებულება ბალანსი 31.12.2019	202,814	202,814
შემოსვლა 2020	3,655	3,655
ცვეთა პერიოდისათვის 2020	(40,576)	(40,576)
გასვლა 2020	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება ბალანსი 31.12.2020	165,893	165,893

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019	2018
	ლარი	ლარი	ლარი
საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული მოთხოვნა	276,479	248,886	160,203
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	660,210	369,431	234,217
სულ	936,690	618,317	394,420

5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2020	2019	2018
	ლარი	ლარი	ლარი
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	27,370	26,552.15	13,348
მიღებული ავანსები	2,056	4,446.33	6,043
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი სავაჭრო ვალდებულებები			-
საიჯარო ვალდებულება	12,870	21,750.00	23,000
სულ	42,296	52,748	42,391

6. ამონაგები

	2020	2019
	ლარი	ლარი
ამონაგები საქონლის მიწოდებიდან	11,742,678	10,434,177
სულ	11,742,678	10,434,177

7. ამონაგების თვითღირებულება

	2020	2019
	ლარი	ლარი
პირდაპირი ხელფასის ხარჯი	(578,027)	(397,536)
ძირითადი მასალების დანახარჯები	(9,132,456)	(8,724,492)
დამხმარე მასალების დანახარჯები	(15,644)	(19,922)
სულ	(9,726,127)	(9,141,950)

8. ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
	ლარი	ლარი
ცვეთა და ამორტიზაცია	(40,576)	(50,166)
იჯარის ხარჯი	(56,949)	(56,949)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(386,356)	(301,464)
სულ	(483,881)	(408,579)

9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე (22.11.2022) კომპანიაში აღგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს

10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2022 წლის 22 ნოემბერს.

შპს ნიუსიტი-ს დირექტორი
ლევან ფეიქრიშვილი _____


შპს "ნიუსიტი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2020-ის თარიღისთვის

		შენიშვნა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
			ლარი	ლარი	ლარი
აქტივები					
ძირითადი საშუალებები	3		165,893	202,814	233,802
სულ გრძელვადიანი აქტივები			165,893	202,814	233,802
სასაქონლო მარაგები			1,932,277	1,219,985	1,002,211
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4		936,690	618,317	394,420
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები			1,578,330	1,036,826	542,721
სულ მოკლევადიანი აქტივები			4,447,296	2,875,128	1,939,353
სულ აქტივები			4,613,189	3,077,942	2,173,154
ვალდებულებები					
საგადასახადო ვალდებულებები			-	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	5		42,296	52,748	42,391
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები			42,296	52,748	42,391
სულ ვალდებულებები			42,296	52,748	42,391
საკუთარი კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი			200	200	200
გაუნაწილებელი მოგება			4,570,693	3,024,993	2,130,563
სულ საკუთარი კაპიტალი			4,570,893	3,025,193	2,130,763
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			4,613,189	3,077,942	2,173,154

შპს ნიუსიტი-ს დირექტორი

ლევან ფეიქრიშვილი



შპს "ნიუსიტი"

მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2020 - 31.12.2020 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2020 ლარი	2019 ლარი
ამონაგები	6	11,742,678	10,434,177
ამონაგების თვითღირებულება	7	(9,726,127)	(9,141,950)
საერთო მოგება		2,016,551	1,292,226
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(483,881)	(408,579)
არასაოპერაციო შემოსავალი /(ხარჯი)		13,002	17,467
მოგება დაბეგვრამდე		1,545,672	901,114
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		1,545,672	901,114

შპს ნიუსიტი-ს დირექტორი

ლევან ფეიქრიშვილი




შპს "ნიუსიტი"

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2020 - 31.12.2020 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სულ საკუთარი კაპიტალი ლარი
ნაშთი - 31.12.2018	200	2,130,563	2,130,763
გაცემული დივიდენდები			-
პერიოდის მოგება		901,114	901,114
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(6,684)	(6,684)
ნაშთი - 31.12.2019	200	3,024,993	3,025,193
გაცემული დივიდენდები			-
პერიოდის მოგება		1,545,672	1,545,672
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		28	28
ნაშთი - 31.12.2020	200	4,570,693	4,570,893

შპს ნიუსიტი-ს დირექტორი

ლევან ფეიქრიშვილი



9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე (22.11.2022) კომპანიაში აღდილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს

10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2022 წლის 22 ნოემბერს.

შპს ნიუსიტი-ს დირექტორი
ლევან ფეიქრიშვილი

